MES 3 20 00364559

06/05/2020

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 22 აპრილს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: **vet.autorization**
JoingZoomMeeting
https://us04web.zoom.us/j/665774354?pwd=RE9Pd20xb2g2R2J5dkcvbDhKYUQ4dz09
Zoom Meeting ID: 451530

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს მდივანი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი;
ნინო ტალიაშვილი - დამოუკიდებელი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ქრისტინე მეფარიშვილი- სსიპ-აწარმოესაქართველოშიინვესტიციებისდეპარტამენტისუფროსი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირები

შპს აჭარა ტექსტილე

არჩილ მართალიშვილი

სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბესარიონ ორმოცაძე
ელენე მიხაილოვა
ანა ნადირაძე

შპს ბაზალტ - ფაიბერსი

ზურაბ ლომსაძე

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაცია

ნინა გოგოლაძე
გუბაზ კობერიძე

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:
ნინო გზირიშვილი
ქეთევან ჯანელიძე
თეა ოსეფაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი (არ ესწრებოდნენ ქრისტინე მაფარიშვილი და ნატო მებურიშვილი) და გამოაცხადა, რომ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შუამდგომლობა ან აცილება ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრებს. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰქონდა შუამდგომლობა, რომელიც საბჭოზე წარადგინა **ნანი დალაქიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ცენტრში შემოვიდა შპს ,,ბაზალტ ფაიბერსის''დირექტორის, ივერი ქუცნაშვილის წერილი (წერილის N 342788), რომლითაც დაწესებულება ითხოვს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე შეჩერდეს საქმისწარმოება მათ პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ელექტროტექნიკოსის“ განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით,რაც საბჭოს უნდა განეხილა 2020 წლის 22 აპრილის საბჭოს ხდომაზე. კომპანია გაეცნო 2020 წლის 19 თებერვლის N 216235 ბრძანების საფუძველზე მათ დაწესებულებაში მყოფ ექსპერტთა 2020 წლის 16 მარტის დასკვნას დაითხოვს მიეცეს შესაძლებლობა ხარვეზების გამოსასწორებლად.
საბჭოს სხდომაზე **დაწესებულების წარმომადგენელმა** ზურაბ ლომსაძემ დაადასტურა რომ დაწესებულებას სურს საკითხის განხილვის გადადება-წარმოების შეჩერება საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე. საბჭოს თავმჯდომარემჰკითხა საბჭოს წევრებს, იყვნენ თუ არა თანახმა არ განეხილათ დღის წესრიგის მესამე საკითხი - შპს ბაზალტ - ფაიბერსისთვის პროფესიული მომზადების პროგრამა - ელექტროტექნიკოსის /00431/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი. თანახმა არიან თუ არა საბჭოს წევრები, რომ საკითხის განხილვა გადატანილ იქნას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგი პერიოდისთვის.სხდომის მონაწილე საბჭოს წევრების სრულმა შემადგენლობამ მიზანშეწონილად ჩათვალა შპს ბაზალტ - ელექტროტექნიკოსის პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი განხილულ იქნას საბჭოზე საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ და დღის წესრიგში შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს. .

საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესდა, კიდევ ხომ არ იყო რაიმე სახის შუამდგომლობა ან აცილებასთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდა ვინმეს მოსაზრება - დაწესებულებას, ცენტრს ან ექპერტს. უარყოფითი პასუხის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს განახლებული დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. შპს აჭარა ტექსტილესთვის პროფესიული მომზადების პროგრამა - მკერავი ოპერატორის /00449/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2.სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელისთვის პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეო ოპერატორი /00414/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაციისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამა - ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი /00503/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. შპს აჭარა ტექსტილესთვისპროფესიული მომზადების პროგრამა - მკერავი ოპერატორის /00449/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
წარმდგენები: ნინო გზირიშვილი და ლანა გაჩეჩილაძე

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, საბჭოს წევრები იცნობდნენ თუ არა წარმოების მასალებს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო, რის შემდეგაც სთხოვა პრეზენტატორებს, რადგან ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ყურადღება გაამახვილონ საკვანძო საკითხებზე.
საბჭოზე **ლანა გაჩეჩილაძემ** წარადგინა პრეზენტაცია. აღნიშნა, რომ ვიზიტი 2020 წლის 10 მარტს განხორციელდა შპსაჭარა ტექსტილეში. დასკვნაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. შენიშნა,ყველასთვის ცნობილია, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო შპს აჭარა ტექსტილემ პირბადეების წარმოებაში ქვეყანას მხარი დაუჭირა და წვლილი შეიტანა საერთო საზოგადო საქმეში. აღნიშნა, რომ წარმოდგენილია მესამე დონის პროფესიული მომზადების პროგრამა - მკერავი ოპერატორის, მესამე დონე. ვიზიტი განხორციელდა პროგრამის განხორციელების სამივე ადგილზე. კომპანიას აქვს ფაბრიკა-ქარხნები ბათუმში, ქობულეთსა და ფოთში. სამივე ადგილზე ჯამში მოთხოვნილი აქვთ 270 მსმენელი. მკერავი ოპერატორის პროგრამის მსგავს პროგრამას შპს აჭარა ტექსტილე უკვე ახორციელებს, თუმცა არაფორმალური კურსების სახით. აღნიშნულ კურსებს საკმაოდ ეფექტურად ახორციელებენ, რისი პროცესის მომსწრენიც გახდნენვიზიტის დრის სამივე ადგილზე. მომზადების პროგრამის მსმენელთათვის გამოყოფილი აქვთ სპეციალურად დიდ სივრცეში.დააფიქსირა, რომ დაეთანხმნენ მსმენელთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას - 270 მსმენელი, თითოეულ ობიექტზე (მისამართზე) 90 მსმენელი. პროგრამის ხანგრძლივობაა 9 კვირა და სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე.საბჭოს წევრებს წარმოუდგინა ვიზიტის დროს გადაღებული ფოტოები. საბჭოს ასევე მიაწოდა ინფორმაცია საწარმოს შესახებ, ადრე რა მდგომარეობაში იყო შენობები და ახლა რა მდგომარეობაა, სახანძრო უსაფრთხოებიდან დაწყებული და მდგრადობით დამთავრებული, ყველაფერი არის სრულ წესრიგში. 2008 წელს არის დაფუძნებული აჭარა ტექსტილე. პირველი საწარმო აქვთ გახსნილი 2008 წელს. იმავე წელს ქობულეთში გახსნეს და თავდაპირველად დასაქმებული ჰყავდათ 100 პირი, დღესდღეობით კი დასაქმებულია 3000 ადამიანი. საწარმოებშიშექმნილი აქვთ სამუშაო კარგიპირობები, ზრუნავენ დასაქმებულების ტრანსპორტირებაზე, შესვენების პერიოდში კვებით უზრუნველყოფენ და აქვთ შრომის უსაფრთხოების მაღალი დაცვა.ფოთში საწარმო შედარებით ახალია. ბათუმის საწარმოსკი აქვს დიდი სივრცე, სადაც ხდება შიდა მომზადებისპროგრამის განხორციელება. მსმენელები აქტიურად არიან ჩართულები პროცესში. აქვთ სამ დონიანი სწავლება. სწავლება კვირების მიხედვით აქვთ გადანაწილებული და კვირიდან კვირამდე გადაყავთ მსმენელები და ადგილსაც უცვლიან მანქანა-დანადგარების მიხედვით. საკმაოდ სრულყოფილად მიდის იქ ეს პროცესი. ყოველ მისამართზე გამოყოფილია აუდიტორიები თეორიული სწავლებისათვის, შესაბამისი აღჭურვილობით. ასევე არის სადემონსტრაციო სასწავლო სათამაშოები, რომელზედაც მსმენელები სიმულაციურად განივითარებენ სხვადასხვა უნარებს.
ხარვეზი, როგორც აღინიშნა, არ დაფიქსირებულა. **რეკომენდაციები** იყო მხოლოდ სამი, კერძოდ:
1.2 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის დასახელებაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტებში

გამოყენებულია პროფესიული განათლების სფეროსთვის არადამახასიათებელი ტერმინები (კურსანტი, მოსწავლე და სხვ.), რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნეს ტერმინები /დასახელებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2.1 ქვესტანდარტი - სასურველია, დოკუმენტალურად დადასტურდეს განმახორციელებელი პირების ჩართულობის ინტენსივობა სწავლის შედეგებთან/თემატიკასთან მიმართებაში;
განმახორციელებლები ჯამში ყავთ 10.მათ შორის ორი არაქართველი, შრილანკიდან. ისინი ჩართულები არიან შიდა გადამზადების პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში. მათ კომუნიკაცია ნაკლებად უწევთ მსმენელებთან.სამი განმახიორციელებელი პირია ერთ სივრცეში და მათ დაეხმარებიან თუ დასჭირდებათ. თეორიულ სწავლებას ქართველი გაუძღვება.
3.2. ქვესტანდარტი - სასურველია, შპს აჭარა ტექსტილეს ,,კერვის ოპერაციების შემსწავლელ კურსებზე დაშვების პროცედურის“ მუხლი 1-ში გასწორდეს პროგრამაზე დასაშვები პირის ასაკი.
ზღვრული ასაკი მათ შინაგანაწესის მიხედვით აქვთ გაწერილი, არ აქვთ უფლება დაუშვან საწარმოში 18 წელზე ნაკლები ასაკის პირი. დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა.
დარგის ექსპერტმა, **ნინო გზირიშვილმა** დაამატა, რომ ასეთი ტიპის პროგრამები ზუსტად ასეთი ადგილებისათვის არის და როგორც ექსპერტი, აღფრთოვანებას ვერ მალავს და მადლობას უხდის საწარმოს,რომ ყველაფერი ძალიან ორგანიზებულად აქვს. ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ იმისათვის, რომ აღზარდონ კვალიფიციური კადრი. ჰქონდათ შესაბამისი და მეტი რესურსიც. დარწმუნებულია პროგრამა წარმატებით განხორციელდება და ნამდვილად შეძლებენ მსმენელები კვალიფიციურ კადრებად გამოუშვან.
მარიკა ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ ჰქონდა შეხვედრა ამ ორგანიზაციასთან იმ ეტაპზე, როცა ისინი აპირებდნენგანაცხადის შემოტანას და მხარი დაუჭირა, რადგან რეალურად დაინახა დასაქმების დიდი პოტენციალი. ამ პროგრამებს იმ შემთხვევაში აქვს აზრი, რომ შემდეგ დასაქმდებიან და იმედი აქვს, რომ მომზადების პროცესი დასაქმებით დასრულდება. დაინტერესდა სწავლის დაწყებას როდის შეძლებდნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, **არჩილ მართალიშვილმა** თქვა, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდანგამომდინარე, გაუჭირდება კონკრეტული თარიღის თქმა როდის შეძლებენ პროგრამის დაწყებას. ეხლა ბათუმის საწარმოში გრძელდება პირბადეების კერვა, რომელსაც უსასყიდლოდ გადაცემენ სახელმწიფოს. ამ პროცესში ჩართული არიან მოხალისეები, რომლებიც თავისი სურვილით მოდიან საწარმოში და ერთვებიან წარმოების პროცესში. დღესდღეობით ამ ადამიანების რაოდენობა წარმოადგენს 300-ს. უნდოდათ სხვა საწარმოებშიც წარმოების განახლება, გეგმა შეიმუშავეს ჯანდაცვის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, მაგრამ სამწუხაროდ, ისევ შეიცვალა არსებული მდგომარეობა და ვერ მოახერხეს წარმოების პროცესის განახლება. კონკრეტულად გაჭირდება თქმა როდის შეძლებენ, მაგრამ როგორც კი დალაგდება ქვეყანაში სიტუაცია, იმ მომენტიდან შეძლებენ მიიღონ პროგრამებში ჩართვის მსურველები.
საბჭოს წევრი, **ნათია კვიციანი** დაინტერესდა, რამდენადაა მკერავი ოპერატორის საქმიანობა მექანიკური სამუშაო. დაასევე, დაინტერესდა მკერავი ოპერატორის საშუალო ანაზღაურებით.
არჩილ მართალიშვილმა უპასუხა, რომ მკერავი ოპერატორები მუშაობენ საკერავ მანქანებთან. ამ მოკლე ვადიანი პროგრამის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებიან დასაქმებით. რაც შეეხება ანაზღაურებას, მათთან არ არის ფიქსირებული. ანაზღაურება ხდება გაწეული შრომის მიხედვით, რასაც ემატება დანამატები და საბოლოო ჯამში კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული კონკრეტული ოპერატორი გამოიმუშავებს საკმაო თანხას, რადგან აქვთ 6 სახის დანამატი. რაც შეეხება კურსდამთავრებულ დასაქმებულს, ორი თვის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ყველა უნარ-ჩვევებით და შედარებით მაღალ საფეხურზე იქნება და ფიქრობენ ამ პროგრამის საშუალებით თავიანთ საწარმოებს მოამარაგებენ გამობრძმედილი კადრებით. ეს პროცესი უზრუნველყოფს კადრების მომზადებას წარმოების პროცესისთვის. საშუალო ხელფასი არის 600-დან 700 ლარამდე. პირველი რგოლის მკერავისთვის, მაგრამ განსხვავებული ანაზღაურება აქვს ბრიგადირს, 800-დან 1000-მდე და ა. შ. **ლანა გაჩეჩილაძემ** და

ამატა, რომ მსმენელები უფასოდ ისწავლიან ორგანიზაციაში და ისარგებლებენ იგივე კეთილდღეობით, როგორც სხვებიდა ყველა მსმენელისთვის იქნება დასაქმება 100 პროცენტით.მათ აქვთ ცარიელი სივრცე და დანადგარების და მანქანების მარაგი, მაგრამ სჭირდებათ კადრი.

ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან უხარია, რომ ასეთი პროგრამები მრავლდებიან ქართულ სივრცეში.გამოთქვა სურვილი, რომ გადამზადების კუთხითაც მოამზადონ პროგრამა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვისაც იყოს შესაძლებლობაასეთ საწარმოში აიმაღლონ კვალიფიკაცია. თუ იქნება იმის შესაძლებლობა მომავალში იფიქრონ ამის შესახებ, რადგან მათ ყველაფერი აქვთ ამისთვის. ეს დაეხმარება იმ რეგიონებსაც, სადაც ფუნქციონირებენ. იქაური მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება იქნება ძალიან კარგი და დასაფასებელი.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ დიდ კომპანიებს ინფორმაციას აწვდის იმასთან დაკავშირებით, რომ თუ კი შშმ პირებსაც შეუქმნიან დასაქმების შესაძლებლობას თავიანთ კომპანიებში, სამინისტროს მხრიდან წახალისებული იქნება, რადგანაც კომპანიის მხრიდან დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, განათლების სამინისტრო ითვალისწინებს სპეციალურ დანამატებს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასწავლო პირობების შესაქმნელად, დამატებითი ხარჯი საწარმომ არ გაიღოს.

არჩილ მართალიშვილმა მადლობა გადაუხადა ინფორმაციისთვის და თქვა, რომ მათი შიდა პოლიტიკის მიხედვით, არ ხდება არჩევა და უარს არ ეუბნებიან შშმ პირებს. მათ აქვთ მაგალითები იმისა, რომ შშმ პირები მათთანარიან დასაქმებულები და აქვთ ყველა პირობა იმისა, რომ მოახდინონ ინტეგრირება გარემოში. მომავალშიც გაზრდიან ამ ადამიანების რაოდენობას მათ საწარმოებში და შექმნიან ისეთ პლატფორმას, სადაც ეს ადამიანები ბედნიერად და კომფორტულად იგრძნობენ თავს.

საბჭოს თავმჯდომარემაც დაამატა, რომ როცაამ დაწესებულების განაცხადს ეცნობოდა ესიამოვნა, იმიტომ რომ დღევანდელი მდგომარეობიდანგამომდინარე დასაფასებელიაკომპანიის მხრიდან სახელმწიფოს მხარდაჭერა და ფიქრობს, რომ არა მარტო მათ კომპანიას აქვს ძალიან დიდი პოტენციალი, არამედ ზოგადად, საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი,რომ ტექსტილის წარმოება ნომერი პირველი პრიორიტეტი გახდეს ქვეყანაში, შესაბამისად, დიდი იმედებია არამარტო მათზე, არამედ მთლიანად ტექსტილის მრეწველობაზე და იმედი აქვს მთავრობა ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს. წარმატებები უსურვა მათ და უფლების მინიჭების შემთხვევაში - პროგრამის მალე განხორციელება.

ნიკოლოზ მესხიშვილი დაინტერესდა, რადგან განაცხადის მიხედვით კომპანიას ბევრი ბრენდი პარტნიორი აქვს, რომელთა დაკვეთებსაც ასრულებენ, ხომ არ ფიქრობენ ერთობლივი პროგრამების განხორციელებაზე საქართველოში.

არჩილ მართალიშვილმა უპასუხა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობას არ გეგმავენ თუმცა ეს ბრენდები (ეს შეიძლება იყოს NIKE, ADIDAS ან სხვა) წელიწადში ერთხელ უგზავნიან საერთაშორისო დონეზე აკრედიტირებულ აუდიტორს, ექსპერტებს, სპეციალისტებს- როგორც სოციალური, ასევე, აუდიტორული და ხარისხის კუთხით. ეს ადამიანებიამოწმებენფაბრიკას, დებენ კონკრეტულ დასკვნას და ენიჭებათ აკრედიტაცია. თუ აკრედიტაცია არ მიენიჭა ფაბრიკას, მათ არ ექნებათ უფლებაამ ბრენედების სახელით აწარმოონ ნებისმიერი სახის პროდუქცია. აქედან გამომდინარე, ამ აუდიტების საფუძველზე ასრულებენ რეკომენდაციებს, მითითებებს, შენიშვნებს და შესაბამისად, სტანდარტებს აუმჯობესებენ და ვითარდებიან. ეს არის მათი ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აჭარა ტექსტილესთვის პროფესიული მომზადების პროგრამის - მკერავი ოპერატორი /00449/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამისგანხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს აჭარა ტექსტილეს (ს/კ: 245619898) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მკერავი ოპერატორი /00449 (დანართი).

2.სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელისთვის პროფესიული მომზადების პროგრამის - ვიდეოოპერატორი /00414/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენები: ქეთევან ჯანელიძე, ელისო ბარბაქაძე

საჭოს თავმჯდომარედაინტერესდა, იცნობდნენ თუ არა საბჭოს წევრები ექსპერტთა დასკვნას და წარმოების მასალებს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო და სთხოვა წარმდგენებს,ყურადღება გაამახვილონ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე.

ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 თებერვლის№252399 ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 6 მარტს განხორციელდა ვიზიტი სსიპ- საზოგადოებრივ მაუწყებელში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის- „ვიდეოოპერატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით ამ პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტამდე ექსპერტის მიერ შესწავლილი ქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია. ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისადდა ცვლილებებისგანხორციელების საჭიროება არ დამდგარა.
პროგრამა არის 12 კვირის ხანგრძლივობის, მსმენელის მინიმალური რაოდენობა - 10, მაქსიმალური - 15. რაც შეეხება დაშვების წინაპირობას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია შემდეგი: სრული ზოგადი განათლება. ასაკი 18 წელი და პორტფოლიო, რაც გულისხმობს მსმენელთა მხრიდან შემოქმედებითი პოტენციალის წარმოდგენას.
რაც შეეხება მოტივაციას, რატომ გადაწყვიტა ტელევიზიამ ამ პროგრამის განხორციელება, მთავარი მოტივაცია არის, რომ პირველი არხი გადადის ახალ შენობაში, სადაც მოხდება გაფართოება, სტუდიების დამატება, ახალი სატელევიზიო პროგრამების დამატება და წარჩინებული კურსდამთავრებულები პირდაპირ შეძლებენ დასაქმებას სხვადასხვა მიმართულებით სტუდიაში თუ ოპერატორებად. რაც შეეხება სწავლებას, თეორიული სწავლებისათვის გამოყოფილია ოთახი, არის ასევე პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელების საშუალება, ეს პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება სხვადასხვა სტუდიებსა თუ პავილიონში, საეთეროებში, სამონტაჟოებში. საბჭოს წარმოუდგინა ფოტო მასალა.
დასკვნაში დაფიქსირდა რამდენიმე **ხარვეზი** პირველ სტანდარტში, კერძოდ:
1.3.პროგრამის მიზანი არ არის შესაბამისობაში პროგრამით გთვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილ პროგრამას აქვს შვიდი შედეგი, რომლებიც არ არის აღწერილი

ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარითან/დაკომპეტენციით, რის გამოც ვერ დგინდება პროგრამის მიზნისა და გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისობა.
1.6.პროგრამის სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად პროგრამას აქვს 7 შედეგი, რომელთაგანაც სამი ფორმულირებულია შემდეგნაირად:
1. ფოტოგრაფიის საფუძვლები, ფოტო და ვიდეო გადაღების თეორიულია სპექტები და გადაღების ხელოვნება;
2. განათების სტანდარტები და მხატვრული განათების პრინციპები;
3. სტუდიური და გარე გადაღებების ძირითადი კანონები;

1.7.პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა არ არის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური.
პროგრამისაღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ ხანგრძლივობა შეადგენს- 12 კვირას. კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა -16 საათს. პროგრამის შედეგებში მითითებულია ორი შედეგი:
4. განათებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის არჩევა, მომზადება და სწორი ექსპლუატაცია;
5.საოპერატორო ხერხების გამოყენებით კამერის მართვა- რომლებიც პროგრამის შინაარსში, ყოველკვირეულ განშლაში, არსად არ არის მითითებული. არ ჩარს თუ რომელ კვირაში ისწავლება ისინი. გარდა ამისა, სწავლის შედეგები: 1.ფოტოგრაფიის საფუძვლები, ფოტო და ვიდეო გადაღების თეორიული ასპექტები და გადაღების ხელოვნება; 2. განათების სტანდარტები და მხატვრული განათების პრინციპები; 3.სტუდიური და გარე გადაღებების ძირითადი კანონები- არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით და ვერ ხერხდება ზუსტად შედეგის იდენტიფიცირება.
1.8.სწავლების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით
სწავლების მეთოდებიდან გამოყენებულია ინტერაქტიული ლექცია, სემინარი, სამუშაოჯგუფში მუშაობა. არ არის გამოყენებული ინსტრუქტაჟი, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული დავალება, არა და სწორედ პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული ეს პროგრამა.
1.10.მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ვიდეოოპერატორის მომზადების პროგრამის მსმენელის მიღწევების შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების წესი“, სადაც გაწერილია რეგულაციები. თუმცა, პროგრამაში მითითებული შვიდი შედეგი დანორი არ არის მოხსენიებული არცერთ კვირაში, შესაბამისად ვერ დგინდება რა ფორმით მოხდება ამ შედეგების შეფასება.
ასევე, ექსპერტებმა გასცეს **რეკომენდაციები:**

1.2. დაზუსტდეს პროგრამის შემუშავების საფუძვლები.
1.3,1.6,1.7 წარმოდგენილი პროგრამის შედეგები, აღიწეროს ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, რათა დადგინდეს პროგრამის მიზნისა და გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისობა. განისაზღვროს პროგრამის ხანგრძლივობის/მოცულობის/მსმენელისსასწავლო დატვირთვის და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისობა.
1.7,1.8. პროგრამის შედეგებში მითითებული ორი შედეგი: 4.განათებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის არჩევა, მომზადება და სწორი ექსპლუატაცია; 5. საოპერატორო ხერხების გამოყენებით კამერის მართვა-აისახოს პროგრამის შინაარსში, მიეთითოს თუ რომელ კვირაში ხდება ამ შედეგის მიღწევა, რა სწავლების მეთოდებით, შეფასების რა მეთოდი იქნება გამოყენებული, მიეთითოს სწავლების თემატიკა.

1.8,1.10 სწავლების მეთოდებიდან გამოყენებულია ინტერაქტიული ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა. არ არის გამოყენებული ინსტრუქტაჟი, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული დავალება, არა და სწორედ პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული ეს პროგრამა. სასურველია დაზუსტდეს სწავლების მეთოდები.
ექსპერტმა კომპანიის მატერიალური ბაზის დასადასტურებლად წარმოადგინა ფოტო მასალა.
დაწესებულებაში შემუშავებულია (2019 წლის 2 დეკემბრის ბრძანება 244) „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესი“ სადაც გაწერილია, თუროგორ ხდება პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევა, თუ როგორ ხდება პროგრამის მსმენელის სტატუსის მოპოვება და შეწყვეტა, როგორია მსმენელის მიღწევების შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების წესი, კვალიფიკაციის მინიჭებადა სერტიფიკატის გაცემა, სტატუსის შეწყვეტა და სხვ.
ექსპერტმა, **ქეთევან ჯანელიძემ** აღნიშნა, ეჭვს არ იწვევს რომ ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე და დასაქმების შესაძლებლობაც მაღალი იქნება. თუმცა იყო უზუსტობანი და ტექნიკური ხარვეზები, რასაც თვალს ვერ აარიდებდა.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, შეეჯამებინა ხარვეზები, რაც მისი აზრით, დაკავშირებული იყო ძირითადად სწავლის შედეგებთან, სწავლის მეთოდებთან და წარმოედგინა გამოსწორების გზები. მან სთხოვა ექსპერტს, დაეზუსტებინა რა არის მთავარი პრობლემა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში და ასევე ითხოვა ექსპერტის შემდეგ თავად ორგანიზაციის წარმომადგენელსაც გამოეთქვა მოსაზრება.
ქეთევან ჯანელიძემ განმარტა, რომ ტელევიზიები ძირითადად დაკომპლექტებული არიან არაპროფესიონალი კადრებით. პროგრამის განხორციელების საჭიროება დარგის განვითარებისთვის ნამდვილად დგას. პროგრამაში დასაზუსტებელია სწავლის შედეგების ფორმულირება, შესაბამისი თემატიკა და სწავლის მეთოდები. ესენი უნდა გასწორდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, შეძლებენ თუ არა ამ ყველაფრის გამოსწორებას, თუ მიეცემათ საბჭოს მიერ ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, **ბესარიონ ორმოცაძემ** აღნიშნა, რომ პრინციპში გამოსწორებულია უკვე. მან აღნიშნა, რომ ცოტა დაბნეულობა მოხდა მისი მხრიდან და პროგრამის სხვა პროექტი მიაწოდა ექსპერტს, რაც საერთოდ არ იყო განსახილველად გამოტანილი. რეალურად პროგრამა უკვე გაწერილი აქვს და თუკი მიეცემათ გარკვეული ვადა, ხარვეზი სამ დღეში გამოსწორებადია.
საბჭოს წევრი, **ნინო ტალიაშვილი** დაინტერესდა, ახალი პროგრამა ხომ არ უნდა დაიწეროს ამ შემთხვევაში, პროგრამაში ძირეულ ცვლილებებს, ხომ არ გამოიწვევს რეკომენდაციების გათვალისწინება და რამდენად მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რაც პროგრამაში უნდა განხორციელდეს.
ამ კითხვაზე **ბესარიონ ორმოცაძემ** უპასუხა, რომ ახლი პროგრამის შექმნაზე არ არის საუბარი, რომ ადვილად გასასწორებელია, იმიტომ რომ თითქმის უკვე გამზადებულია. აჩვენა კიდეც ექსპერტს ჩასწორებული ვარიანტი.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, საბჭო უფლების მინიჭების გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, მაგრამ საბჭოს წევრებს შეუძლიათ იმსჯელონ, დაწესებულებისთვის ვადის მიცემის შესახებ, ხარვეხის გამოსასწორებლად.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს შეახსენა მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე ნორმები, ისეთ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ამ შემთხვევაში მთავრობის დადგენილების მე-11-ე მუხლის მეორე პუნქტის ერთ-ერთი ნაწილი ამბობს, რომ საბჭოს შეუძლია განუსაზღვროს ხარვეზის გამოსასწორებლად არა უმეტეს ერთი თვისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა,რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.
რათქმა უნდა საბჭომ ამის შესახებ იცის და მსჯელობის შემდეგ შეიძლება ამ ნორმის გამოყენება.

ქეთევან ჯანელიძემ დაადასტურა, რომ შესაძლებელია ერთთვიანი ვადის მიცემა, რადგან ნანახი აქვს გასწორებული ვარიანტი.
ნინო ტალიაშვილი, აზუსტებდა რამდენად შესაძლებელია ხარვეზის გამოსწორება, რადგან მეორე სტანდარტიც დარღვევულია.
ქეთევან ჯანელიძე არ დაეთანხმა და დასძინა რომ კორექტირების შემთხვევაშიპროგრამის მიზანი და შედეგი არ იცვლება და თვლის რომ გამოსწორებადია, რაც შეეხება მეორე სტანდარტს ჯანელიძის თქმით არ არის დარღვეული. თავჯდომარემ მიმართა ნინო ტალიაშვილს, გამოეხატა დამატებითი მოსაზრება . **ნინო ტალიაშვილმა** დასძინა, რომ ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა ამ საკითხთან დაკავშირებით.
სწორედ ამ ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე **საბჭოს თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ ერთი სტანდარტის დარღვევაზეა საუბარი და შესაძლებლობას გვაძლევს იმ შემთხვევაში, თუ გამოსწორებადია და შეეკითხა ექსპერტს თუა გამოსწორებადი, რაც ექსპერტმა დაადასტურა. მან თქვა, რომ ბატონმა ბესარიონ ორმოცაძემ მას აჩვენა პროგრამა, რომელიც უნდა წარმოედგინათ რეალურად ცენტრში, იმ პროგრამში არის დახვეწილი და მკაფიოდ გამოხატული შედეგები, ანუ პროგრამის იმ ვერსიაში გასწორებულია, რაც უნდა გასწორებულიყო.თემატიკაც არის მრავალფეროვანი და უფრო დაზუსტებული და ფიქრობს, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის მიცემის შემთხვევაში, ხარვეზს გამოასწორებენ. საბჭოს წევრმა, **გიორგი გამყრელიძემაც** დააფიქსირა მოსაზრება, რომ დაწესებულებას უნდა მიეცეს დრო, რადგანაც გამოსწორებული აქვს ის საკითხი, როგორც ბატონმა ბესარიონმა თქვა. პროგრამის ხელმძღვანელს თავისი თავის სჯერა, შესაბამისად ექსპერტიც ამას ამბობს. გიორგი გამყრელიძის აზრით, თავისუფლად შეიძლება მიეცეს დრო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,იყვნენ თუ არა თანახმა კენჭისყრაზე დაეყენებინათ საკითხი დაწესებულებისთვის დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე. არც საბჭოს წევრებს და არც აპარატის თანამშრომლებს საწინააღმდეგო მოსაზრება დამატებითი ვადის მიცემასთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებიათ.
ექსპერტმა დაადასტურა, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის მიცემის შემთხვევაში, ხარვეზს გამოასწორებენ.
დაწესებულების ხელმძღვანლელი **ბესარიონ ორმოცაძეც** ფიქრობს, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის მიცემის შემთხვევაში, ხარვეზს გამოასწორებენ.
საბჭოს წევრმა, **გიორგი გამყრელიძემაც** დააფიქსირა მოსაზრება, რომ დაწესებულებას უნდა მიეცეს დრო, რადგანაც გამოსწორებული აქვს ის საკითხი, როგორც ბატონმა ბესარიონმა თქვა. პროგრამის ხელმძღვანელს თავისი თავის სჯერა, შესაბამისად ექსპერტიც ამას ამბობს. გიორგი გამყრელიძის აზრით, თავისუფლად შეიძლება მიეცეს დრო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, იყვნენ თუ არა თანახმა კენჭისყრაზე დაეყენებინათ საკითხი დაწესებულებისთვის დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე. არც საბჭოს წევრებს და არც აპარატის თანამშრომლებს საწინააღმდეგო მოსაზრება დამატებითი ვადის მიცემასთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებიათ.
ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა, რომ ამ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღება. ამ ეტაპისთვის კენჭისყრა საჭიროა იმისთვის, რამდენად საბჭოს ყველა წევრი იზიარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს გადაწყვეტილებას. ეს იქნება ერთი თვის ვადის მიცემაზე საბჭოს წევრების უმრავლესობის თანხმობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1 (ნინო ტალიაშვილი)

სსიპ- საზოგადოებრივ მაუწყებელს მიეცა საბჭოს სხდომის შემდეგ ერთ თვიანი ვადა პროგრამის სტანდარტში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაციისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამა - ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი /00503/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

წარმდგენი: თეა ოსეფაშვილი, ელისო ბარბაქაძე

ელისო ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამო, ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში ვერ განხორციელდა. ექსპერტის მიერ წინასწარ მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა, გამოთხოვილ იქნა დამატებით დოკუმენტაცია. შეფასება განხორციელდა დიტანციურ რეჟიმში, განხორციელდა ელექტრონული ჩართვა, განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომლებმაც გააცნეს სასწავლო გარემო, სადაც განხორციელდება სწავლება. პროგრამის განხორციელება მოხდება ქალაქ რუსთავში,„რუსთავის საერთაშორისო სკაუტურ ცენტრის“ შენობაში, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდულ ცენტრს, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ცენტრს შეუძლია საკონფერენციო მომსახურება (დიდი ზომის სამუშაო ოთახები, ტექნიკა, ინვენტარი, კვება). საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაუწიოს ერთდროულად 60 ადამიანს მასპინძლობა. ასევე, ამდენივე ადამიანი განათავსოს ბაზაზე არსებული სასტუმროს ნომრებში.

ექსპერტმა **თეა ოსეფაშვილმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამა „ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა 2020 წლის28 თებერვალს, რის საფუძველზეც 2020 წლის 24 მარტს გამოიცა ცენტრის დირექტორის ბრძანება აღნიშნული პროგრამის შესწვლის შესახებ. დარგის ექსპერტმა შეისწავლა განმცხადებლი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მასალები დადგენილ ვადაში,ინტერვიუს ჩატარება ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განხორციელების ადგილის ვიზუალური დათვალიერება განხორციელდა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. დისტანციური შეხვედრის დროს კითხვა-პასუხის რეჟიმში განიხილეს დასაზუსტებელი საკითხები, ასევე, ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლების მიერ მოთხოვნილ იქნა დამატებითი მასალები და შესწავლილი იქნა დოკუმენტაცია.

ექსპერტის აზრით, ეს არის სიახლე პროფესიულ განათლებაში, როდესაც შემოდის პროფესიულ მომზადება/ გადამზადებაში ახალგაზრდა მუშაკთა სასერტიფიკატო პროგრამა. ეს ძალიან საჭირო, მნიშვნელოვანი პროგრამაა და დასაქმების ბაზარიც არის ძალიან დიდი. ახალგაზრდული ასოციაცია 2017 წელს ჩამოყალიბდა და ადამიანებს, ვინც მუშაობენ ამ ასოციაციაში დიდი გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით.დასაქმებულები არიან არა მხოლოდ საბაზისო პოზიციაზე, არამედ უკვე წარმოადგენენ ხელმძღვანელებს თუ მენეჯერებს. ორგანიზაცია თბილისში მდებარეობს და ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ზემოხსენებულ ორგანიზაციასთან.

შენიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში განსაზღვრულია მეხუთე დონე, მაგრამ ცენტრის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით განისაზღვრა მეოთხე დონე, რასაც თვითონაც ეთანხმება. პროგრამის ხანგრძლოვობაა 22 კვირა, სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე. მსმენელთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 მსმენელით. უფლების მოპოვების შემთხვევაში, სამი წლის მანძილზე 300 მსმენელის გადამზადებას შეძლებენ. აქვთ ძალიან კარგი პირობები, A გარემო, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს.

დასკვნაში დაფიქსირდა ორი **ხარვეზი**, ესენია:

1.6. ქვესტანდარტი - პროგრამის სწავლის შედეგები არის აღწერილი/ჩამოყალიბებული მისაღწევი სწავლის შედეგების ელემენტებით (რომელიც ფორმულირებულია-ცოდნით და გაცნობიერებით, უნარით და ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით), რომელიც ცოდნის(იცის, აცნობიერებს და ა.შ.) და უნარების (შეუძლია) ფორმულირებით არის დაწერილი: თუმცა ეს უნარები არ არის ფორმულირებული -სწავლის შედეგებად. ასევე, მათი რაოდენობა არის რეკომენდირებულზე მეტი;

2.2. ქვესტანდარტი - რადგან პრაქტიკული მეცადინეობა არის გადამზადების პროგრამის სავალდებულო შემადგენელი ნაწილი, აუცილებელია ზუსტად იყოს მითითებული და შესაბამისი ხელშეკრულებებით დადასტურებული, როგორც სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ- Cგარემო, ასევვე, ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომელთანაც ხდება თანამშრომლობა, აგრეთვე, ინფორმაცია პრაქტიკის განხორციელების დროს-ბენეფიცირების, ბავშვებისა და მოზარდების უსაფრთხოების და ამ პროცესში ჩართულობის რეგულირების შესახებ. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ასეთი ინფორმაცია, ხელშეკრულება, რეგულაციები არ არის შემუშავებული.

ასევე, მიეცათ **რეკომენდაციები:**

1.2 ქვესტანდარტი - პროგრამასა და სხვა დოკუმენტებში გამოყენებული უნდა იქნას დადგენილი ტერმინები: აპლიკანტი, გამახორციელებელი და მსმენელი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N131, 15.03.2019 წ., მისი დანართი: პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების სტანდარტი);

1.6.ქვესტანდარტი - პროფესიული პროგრამების(განათლების ყველა დონეზე, მათ შორის ტრენიგ- პროგრამებისათვის) სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის არსებობს გაწერილი მეთოდოლოგია და რეკომენდაციები: ევროკავშირის პროექტის ფარგლებში (სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2014წ,), განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები და მეთოდოლოგია პროფესიული პროგრამებისთვის, მათ შორის ყველა სახის პროგრამის შექმნის უნივერსალური მეთოდოლოგია) –DACUM.

წარმოდგენილ პროგრამაში მოცემული 31 სწავლის შედეგის ელემენტების ინტეგრირებით, დაჯგუფებითა და კომპეტენციების შესაბამისად დალაგებით, მიიღება პროგრამის საწავლის შედეგები. მაგ:ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის (სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და წარმოდგენილი პროგრამის -ე.წ. სწავლის შედეგების გადამუშავების შედეგად) სარეკომენდაციო მაგალითი:

1. ახალგაზრდული მუშაობისორგანიზება
2. ახალგაზრდებისათვის ინფორმაციისგადაცემა
3. ახალგაზრდების კონსულტირება
4. ახალგალგაზრდული საქმიანობისადმინისტრირება
5. ახალგაზრდული საქმიანობის მენეჯმენტი

1.7.ქვესტანდარტი - პირველი კვირის საათობრივი დატვირთვის საკითხი, შესაბამისობაში იქნას მოყვანლი რეკომენდირებულთან (კვირაში40სთ);

1.10 ქვესტანდარტი - პოგრამაში უნდა აისახოს განმავითარებელი შეფასება, როგორც ფორმა და მეთოდი შეფასების, რომელიც სწორედაც სწავლის შედეგების დადასტურებამდე განმსაზღვრელი შეფასებით, მსმენელების შეფასების ძალიან ეფექტური საშუალებაა;

2.2. ქვესტანდარტი - პრაქტიკული მეცადინეობა არის გადამზადების პროგრამის სავალდებულო შემადგენელი ნაწილი, სწავლის შედეგების დაახლოებით 85%, შესაბამისად აუცილებელია ზუსტად იყოს მითითებული და შესაბამისი ხელშეკრულებებით დადასტურებული, როგორც სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ - C გარემო, ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომელთანაც ხდება თანამშრომლობა, აგრეთვე, ინფორმაცია პრაქტიკის განხორციელების დროს ბენეფიცირების, ბავშვებისა და მოზარდების უსაფრთხოების და ამ პროცესში ჩართულობის რეგულირების შესახებ.

აქვე აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნა ძალიან დიდია არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში ახალგაზრდებზე ამ მიმართულებით. ასოციაციას კვლევაც აქვს დადებული ახალგაზრდულ სააგენტოსთან ერთად. თვლის, რომ საჭირო წინაპირობებიც კარგად აქვთ ჩადებული პროგრამაში. სწავლის მეთოდებიც მრავალფეროვანი და საინტერესოა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოთქვათ თავისი პოზიცია, სთხოვა დაწესებულებას მოეყვანა არგუმენტები, რომ საბჭოს შეძლებოდა სწორი გადაწყვეტილების მიღება. აქვე აღნიშნა, სახეზე არის ორი სტანდარტის დარღვევა: 1.6 ქვესტანდარტი და ქვესტანდარტი 2.2. პროცედურულად ორი სტანდარტია დარღვეული, რაც იმის შესაძლებლობას არ იძლევა, რომ დამატებითი ვადა განესაზღვრა საბჭოს და სამართლებრივად არის იმის საფუძველი, რომ უარი ეთქვას იურიდიულ პირს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, **ნინა გოგოლაძემ** გამოხატა თავისი პოზიცია. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო სტანდარტის ორი დარღვევის შესახებ. პირველი, ეხება შედეგებს და მეორე, დოკუმენტაციას C გარემოსთან დაკავშირებით. პირველ შემთხვევაში, შედეგებთან დაკავშირებით აბსოლუტურად მისაღებია და გასაგები ის, რომ ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში შეიძლება განსხვავებულად ხდება შედეგების ფორმულირება, თუმცა მათ აქვთ ასეთი მიდგომა - ცოდნა, უნარი და დამოკიდებულება და ყველა კომპეტენცია არის ფორმულირებული. შესაბამისად სწავლის დასრულების შემდეგ რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს კურსდამთავრებულმა. ამ ჭრილში აქვთ გატარებული სწავლის შედეგები. რაც შეეხება სტანდარტს, მათ აქვთ საკმაოდ სპეციფიკური ვითარება საქართველოში. ისინი ცდილობენ განავითარონ სასერტიფიკატო კურსი, იმ პირობებში სადაც არ არის ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული სტანდარტი. პროცესი მიმდინარეა და დაწყებული აქვთ ამ კუთხით მუშაობა. ამ ეტაპზე ჩქარობენ და მიაჩნიათ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანაში ვითარდება პროცესები, როცა ახალგაზრდა მუშაკები საჭიროებენ გარკვეული ფორმით აღიარებას, გადამზადებას და გარკვეულ წილად მათი საქმიანობის ინსტიტუტიონალიზაციას, ფორმალიზაციას და ა.შ. ამიტომაც შეიძლება იმ შემსწავლელი შედეგების გამსხვილება, რაზეც ექსპერტი საუბრობდა და მადლობა გადაუხადა ამ რჩევისათვის. შეიძლება შედეგების გამსხვილება, თუმცა ორგანიზაციის პრიორიტეტი იყო უფრო მეტად დაწვრილებითი შედეგები, რაც გაუიოლებდათ სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ ისინი კონკრეტულად შეძლებდნენ იმის შეფასებას, დადგა თუ არა სწავლის შედეგი. ამიტომ არის ასეთი დაწვრილებითი, თუმცა რათქმა უნდა შესაძლებელია გაითვალისწინონ შედეგების ფორმულირების გამსხვილების საკითხი. თვითონ პროგრამა, ეს არის პროგრამა, რომლის პილოტირებასაც აკეთებენ ახლა,2018 წელს მათ განახორციელეს ეს პროგრამა, ფაქტობრივად დანერგეს სკოლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში. ყურადღება გაამახვილა, რომ მაშინვე სერიოზულად მიუდგნენ შედეგების შეფასებას, სწავლის შედეგების შეფასებასაც და მთლიანად პროგრამის შეფასებასაც. სანამ პროგრამას დაიწყებდნენ, მათ შეისწავლეს აუდიტორია, მათი კომპეტენციები შეაფასეს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კომპეტენციების მიხედვით, და ინტერვენციის დასრულების შემდეგ გააკეთეს პროგრამა ამ სქემის მიხედვით. ორივე შემთხვევაში ეს მოხდა გარე, მესამე მხარის დამოუკიდებელი ორგანიზაციის ჩარევით და შემდეგ მათივე ჩართულობით ჩატარდა შეფასება, თუ რა კომპეტენციები ამაღლდა და როგორ დადგა მუშაობის შედეგი, რამაც გამოავლინა დადებითი შედეგები. რათქმა უნდა ფორმულირება შეიძლება სხვადასხვანაირად გაკეთდეს, გამსხვილდეს. თუმცა ამ შემთხვევაში, მათი ხედვით ეს არის ფორმულირების საკითხი და არა ის,რომ რაც წერია- არ ასახავს სწავლის შედეგს. ეს მათი გადაწყვეტილება იყო დაწვრილებითი ყოფილიყო და არა გამსხვილებული, რათა შემდგომში უფრო მარტივად შეეფასებინათ შედეგები.თუმცა მათი აზრით, თითოეული კომპეტენცია ასახავს შედეგს. ამიტომ დაწერეს ასეთი ფორმულირება.

ექსპერტმა **თეა ოსეფაშვილმა** დაამატა, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ დაწესებულებამ დაწვრილებით დაწერა პროგრამაში ყველაფერი, უნარები და თემატიკა, ამან მისცა საშუალება გაეგო პროგრამის შინაარსი. მაგრამ იმაში ვერ დაეთანხმა, რომ მათ რაც აქვთ ეს არის სწავლის

შედეგები, ეს არის მხოლოდ უნარები. სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა გაკეთდეს ისე, როგორც მეთოდოლოგია მოითხოვს.

მარიკა ზაქარეიშვილმა შენიშნა , მომზადება/ გადამზადების პროგრამებისთვის არ არის დადგენილი სწავლის შედეგების რაოდენობა რამდენი უნდა იყოს. მან მიმართა ექპერტს დაეზუსტებინა, მოცემულ შემთხვევაში როდესაც ორგანიზაციას აღწერილი ჰქონდა საბოლოო ჯამში რა შედეგზე უნდოდა გასვლა ("როგორი პროდუქტი" უნდოდა მიეღო), რა იყო ის ძირითადი კომპონენტი, რის გამოც წარმოდგენილი ჩამონათვალი ვერ იწოდებოდა ,, სწავლის შედეგად,, ექპერტმა დააზუსტა, რომ სწავლის შედეგს ქმნის ცოდნა, უნარი და გაცნობიერება. მხოლოდ კომპეტენცია არ არის სწავლის შედეგი, ერთმანეთთან ახლოს მდგომია და მეცნიერებიც კი დაობენ ამ საკითხზე და ბოლომდე უჭირთ შეთანხმება. ექსპერტის თქმით რაც ორგანიზაციას აქვს გაწერილი არის მისაღები, ეთანხმება უბრალოდ აკლია სათანადო ფორმულირება, რის შესახებაც მან მისცა რეკომენდაცია. მარიკა ზაქარეიშვილმა დააზუსტა, რომ მთავარი გამოწვევა ყოფილა ფორმულირება. ექპერტმა დამატებით განმარტა, რომ სწავლის შედეგი ვერ იქნება ,, მას შეუძლია,,. მან მისცა ფომულირება როდესაც 6 სწავლის შედეგი, რომელიც შედგება იმ 31 ცოდნისგან და უნარისგან, კომპეტენციისაგან რაც ორგანიზაციას ჰქონდა წარმოდგენილი, ეს არ იკარგება უბრალოდ ექცევა ექპერტის მიერ შეთავაზებული 6 შედეგის ქვეშ. მარიკა ზაქარეიშვილმა დასძინა, რომ იზიარებს ექსპერტის მოსაზრებას სწავლის შედეგის ფორმულირების თაობაზე, თუმცა არ ეთანხმება რომ არსებობს საფუძველი რის მიხედვითაც მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამებში განსაზღვრავს რამდენი სწავლის შედეგი უნდა იყოს. აქვე შენიშნა, რომ როცა დასკვნას გაეცნო, გაუკვირდა, რატომ არ ჰქონდათ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება, რადგან როგორც განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, მან იცის, რომ ათი კოლეჯია მათი პარტნიორი. მათი თანამშრომლობა ამ კოლეჯებთან სწორედ განათლების სამინისტროს მხარდაჭერით მოხდა, ამიტომ დაინტერესდა,რატომ ვერ მოესწრო ხელშეკრულების გაფორმება ამ დრომდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრში ზოგადი ხასიათის კონსულტაციაზე ყოფნის დროს, საუბარში არ წამოიჭრა ეს საკითხი და არ იცოდნენ თუ ხელშეკრულებები იქნებოდა საჭირო. იმის შესახებ რომ გარკვეული დოკუმენტები უნდა ყოფილიყო, დასკვნის მომზადების წინა დღეს გაიგეს და ერთ დღეში ვერ შეძლებდნენ ამ დოკუმენტაციის წარმოდგენას ასეთ რთულ ვითარებაში. თუმცა, არსებობს 11 ლოკაციაზე სასწავლებლები, რომელთანაც მათ აქვთ თანამშრომლობა. დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის თუ საბჭო გადაწყვეტს და ვადა მიეცემათ, წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას.

საბჭოს წევრმა, **გიორგი გამყრელიძემ** დააფიქსირა თავისი აზრი, რომ დღეს იყო ზუსტად ანალოგიური სიტუაცია, როცა დრო მისცა საბჭომ გამოსასწორებლად. თუ არის საშუალება, ამ შემთხვევაშიც დაწესებულებას მიეცეს ვადა გამოსასწორებლად. მისი აზრით პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები არის მთავარი ხარვეზი, თუმცა რა თქმა უნდა ვადის მიცემის შემთხვევაში, C გარემოსთან დაკავშირებითაც უნდა მოაწესრიგონ დოკუმენტაცია. ექსპერტი დაეთანხმა გიორგი გამყრელიძის მოსაზრებას, რომ წარმოდგენლი პროგრამა და მასში ჩართული ადამიანები იძლევიან საშუალებას განსაზღვრულ ვადაში გამოასწორონ ხარვეზი, რადგან ბევრი არ არის. ექსპერტის თქმით მათ პარტნიორებთან ხელშეკრულებები უკვე აქვთ ასევე, ექპერტმა მისცა ცხადი რეკომენდაციები, რაც დაეხმარებათ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, მომენილი ინფორმაციის გათვალისწინებით შეიძლება თუ არა, რომ 2.2 ქვესტანდარტი დარღვეულად არ ჩაითვალოს. ექსპერტი დაეთანხმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი სტანდარტი შეიძლება ჩაითვალოს დარღვეულად აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა ასევე გიორგი გამყრელიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ სხვა არგუმენტირებული მოსაზრებები ვადის მიცემასთან დაკავშირებით არ აქვთ საბჭოს წევრებს და თვლიან, რომ დარღვეულია ერთი სტანდარტი და შეიძლება მიეცეთ დრო გამოსწორებისათვის, მაშინ კენჭი უყარონ

ერთვიანი ვადის მიცემასთან დაკავშირებით ხარვეზის გამოსასწორებლად. საბჭოს არცერთ წევრს და აპარატის თანამშრომლებს დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუხატავს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაციისთვის მიეცა საბჭოს სხდომის შემდეგ ერთ თვიანი ვადა პროგრამის სტანდარტში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 18:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნულ იკვალიფ იკაციების ჩარჩოსდ ონე	პროგრამის ხანგრძლივ ობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00449	მკერავი ოპერატორი	მომზადე ბა	მესამე	9	ქართული	90	ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, ტბეთის ქ. №3
						90	ქ. ქობულეთი, სოფ. ბობოყვათი, ბობოყვათის ქ. №14
						90	ქ. ფოთი, მოწერელიას ქ. №31